ირინე დემეტრაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
Irinad72@hotmail.com
საკვანძო სიტყვები: წამალი, ეტიმოლოგია, სემანტიკა, კონოტაცია, პრეფიქსი, სუფიქსი.

წამლების დასახელებები: ეტიმოლოგია, სემანტიკა და სტრუქტურა

ცნობილია, რომ ფარმაცევტული საშუალებები, იგივე წამლები, არის ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება დაავადებათა პრევენციის ან მკურნალობისთვის. წამლები მიიღება მცენარეული, ცხოველური და ქიმიური ნივთიერებებიდან. წინამდებარე ნაშრომი არის წამლების დასახელებების ლინგვისტური ანალიზის მცდელობა, რომელიც, ცხადია, არ მოიცავს სამედიცინო ინფორმაციას. სტატიაში განხილულია ზოგიერთი წამლის დასახელების ეტიმოლოგია, სემანტიკა და სტრუქტურა. საანალიზო მასალად შერჩეულია ყველაზე ცნობილი და ფართოდ გამოყენებული მედიკამენტების დასახელებები. მასალა აღებულია ინტერნეტ-რესურსებიდან, სამედიცინო ცნობარებიდან და, ასევე, ავადმყოფების პირადი გამოცდილებიდან.

წამლის აღმნიშვნელი ინგლისური სიტყვა “drug” გაჩნდა მე-14 საუკუნეში: ანგლო-ფრანგული სიტყვა drogge ნიშნავდა "წამლის დასამზადებლად გამოყენებულ ნებისმიერ ნივთიერებას", ძველ ფრანგულში კი ეს სიტყვა ნიშნავდა „მარაგს“. ონლაინ ეტიმოლოგიური ლექსიკონის თანახმად, საშუალო ჰოლანდიურში და საშუალო ქვემო გერმანულში წამლის აღმნიშვნელი სიტყვა იყო droge waere, რომლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია "გამხმარი ნივთიერებები", რადგან იმ დროს წამლები ძირითადად მზადდებოდა გამხმარი სამკურნალო მცენარეებისგან. „ნარკოტიკული ნივთიერებების“ მნიშვნელობა ამ სიტყვამ მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულს შეიძინა"1.

ქართული სიტყვა „წამალი“ მომდინარეობს საერთო ქართველური ძირიდან წამ, რომელიც აღნიშნავს წამალს, სამკურნალო მცენარეს. ჩუხუას თანახმად, იგივე ძირი გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც, რომ-

[1] წყარო: https://www.etymonline.com/word/drug (ნახვა: 7 თებერვალი, 2020).

ლებშიც ის აღნიშნავს ამა თუ იმ სამკურნალო მცენარეს: სუროს, პიტნასა და სხვ. (ჩუხუა 2017: 79). ამ სიტყვის უძველეს წარმოშობას „შუშანიკის წამებაც“ ადასტურებს, რომელშიც ხუცესი მიმართავს წმინდა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა... და სალბუნი და წამალი დაგდვა“[1].

რაც შეეხება თანამედროვე მედიკამენტების დასახელებებს, როჟე კოლიეს თანახმად, ფარმაცევტული კომპანიები ხშირად ასიათასობით დოლარს უხდიან სპეციალურ სააგენტოებს, რომლებიც წამლის დასახელების შექმნაზე მუშაობენ. ამასთან, არსებობს გარკვეული შეზღუდვებიც: დაუშვებელია, რომ წამლის დასახელება აღნიშნავდეს იმაზე მეტს, ვიდრე მის დანიშნულებაშია მოცემული. ასევე დაუშვებელია, რომ დასახელების კონოტაციური მნიშვნელობა გამოხატავდეს მის უნიკალურობას ან უპირატესობას სხვა მედიკამენტებთან შედარებით. ასევე დაუშვებელია, რომ წამლის დასახელებაში ხაზგასმული იყოს მისი ეფექტურობის გარანტია. ამიტომაც, თმის აღმდგენი საშუალების შემქმნელებს არ მიეცათ უფლება, დაერქმიათ თავიანთი პროდუქტისთვის *Regain* (აღდგენა) და ისინი იძულებული იყვნენ, შეეცვალათ სახელწოდება მსგავსი სიტყვით *Rogaine*.

ბუნებრივია, რომ წამლის დასახელებამ უნდა მიიზიდოს მომხმარებელი. გარდა ამისა, დასახელება სასურველია იყოს ადვილად წარმოსათქმელი და არ ნიშნავდეს რაიმე ცუდს/ვულგარულს იმ კულტურაში, რომლის წარმომადგენლებთანაც ხდება ამ წამლის რეალიზაცია.

ასევე აღნიშნულია, რომ წამლის დასახელება უნდა ასოცირდებოდეს რაიმე პოზიტიური კონოტაციის სიტყვასთან, მაგალითად, დიაბეტის სამკურნალო საშუალება Victoza ასოცირდება სიტყვასთან “Victory” (გამარჯვება) (Collier, 2014:1533).

წამლის დასახელებების შექმნისას, ასევე, გასათვალისწინებელია ფონეტიკური ფაქტორები. კოლიეს თანახმად, წამლის დასახელებებში ხშირია ასოები “X,” “Y” და “Z”, რადგან ისინი წამლის დასახელებას თითქოსდა „მეცნიერულ“, „ტექნოლოგიურ“ ჟღერადობას ანიჭებს (მაგ.: Xanax, Xyrem, Zosyn). ამის საპირისპიროდ, “H,” “J” და “W” იშვიათად გამოიყენება, რადგან შესაბამისი ბგერები ან საერთოდ არ წარმოითქმის ან ძნელად წარმოსათქმელია ზოგიერთ ენაში. ქალებისთვის შექმნილი ფარმაცევტული პროდუქცია ხშირად მოიცავს ე.წ. „რბილ“

[1] იაკობ ცურტაველი. „შუშანიკის წამება“. „ქართული პროზა“, ტომი 1, 1982.

ბგერებს, როგორებიცაა “S,” “M” ან “L” (მაგ. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები: Alesse, Yasmin, Seasonale).

მაიკ ფაილის მიხედვით, იმისთვის, რომ წამლის დასახელებამ ერთდროულად მიიპყროს როგორც პაციენტების, ასევე ექიმების ყურადღება, “მესიჯი უნდა იყოს დახვეწილი, პირდაპირი და ასახავდეს წამლის სარგებლობას ან თვისებებს. დასახელებამ უნდა შექმნას წამლის დადებითი იმიჯი”.[1]

ბუნებრივია, რომ, წამლების დასახელებები, ისევე, როგორც სხვა სამედიცინო ტერმინები, უმეტესწილად მომდინარეობს ბერძნული და ლათინური ენებიდან. მაგრამ, ჩიხლაძის თანახმად, ფარმაცევტული საშუალებების სახელდებისადმი მიდგომა, გარკვეულწილად, შეიცვალა ბოლო ათწლეულებში. ცხადია, ბერძნული და ლათინური კვლავ რჩება ძირითად წყაროებად, მაგრამ წამლის დასახელებებზე ამჟამად გავლენას ახდენს ასევე ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და სხვა ენები (ჩიხლაძე, 2015:181).

მოცემული კვლევის ფარგლებში წამლების დასახელებები დავაჯგუფე შემდეგი სემანტიკური კომპონენტების მიხედვით:

- ორგანო, რომლის მკურნალობასაც ემსახურება მედიკამენტი;
- დაავადება, რომლის სამკურნალოდაც გამოიყენება ესა თუ ის წამალი;
- წამლის ქიმიური შემადგენლობა;
- მცენარე, რომლისგანაც დამზადებულია სამკურნალო საშუალება;
- ცხოველი, რომელიც იძლევა სამკურნალო ნივთიერებას;
- ანტიკური მითოლოგია და ღვთაებები;
- წამლის გამომგონებლის სახელი ან გვარი;
- სამკურნალო პროდუქციის შექმნის ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება.

დეტალურად განვიხილავ თითოეულ ამ ჯგუფს საინტერესო მაგალითებითურთ.

1. *ორგანო:* ***Actigall:*** ნაღვლის ბუშტის სამკურნალო წამალი (gall bladder – ნაღვლის ბუშტი); *Dermovate* – კანის სამყურნალო მალამო (ბერძნული *derma*– კანი); *Cardiomagnil* – გულის

[1] წყარო: https://www.statnews.com/2017/02/08/drug-names-process/ (ნახვა: 8 თებერვალი, 2020)

სამკურნალო საშუალება (ლათინური– *cardio*- გული);

2. *დაავადება და სასურველი თერაპიული ეფექტი: Allertec* – ალერგიის წამალი; *Easy Breath* – ხველის წამალი (სიტყვასიტყვით: ადვილად სუნთქვა); *Spasmomen* – კუჭ-ნაჭლავის სპაზმის მომხსნელი წამალი. ზოგჯერ გვხვდება გარკვეულწილად მეტაფორული დასახელებებიც: მაგალითად, ქართული მცენარეული წამალი *სალხინო*, რომლის თერაპიული ეფექტი გულისხმობს, რომ ადამიანი სწრაფად განიკურნება და „მისი ცხოვრება ლხენით იქნება აღსავსე".

3. *ქიმიური ნივთიერება:* ***Zincam*** – მიუთითებს, რომ წამალი შეიცავს თუთიას, რომლის ლათინური დასახელებაა zincum; *Ferroplex* – მოიცავს რკინას (ლათ. *ferrum* – რკინა); *Methyluracil* (მოიცავს ორ ნივთიერებას: მეთილს და ურაცილს);

4. მცენარე: ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წამალი – ასპირინი შედგება სალიცილის მჟავისაგან, რომელიც მოიპოვება მცენარისგან, სახელად „სპირეა"; ასევე Hedelix – ხველის წამალი, რომელიც სუროს ფოთლების ნაყენია (სუროს ლათინური დასახელებაა Hedera helix).

5. მოცემულ ჯგუფში შედის ასევე „პენიცილინი", რომლის დასახელება საკმაოდ საინტერესოა. ეს სახელწოდება, ისევე, როგორც თვითონ წამალი, შექმნა ნობელის პრემიის ლაურეატმა ა. ფლემინგმა. წამლის დასახელება ემყარება სოკოს *Penicillium notatum,* რომელიც გამოირჩევა ანტიბაქტერიული თვისებებით. თვით ამ სოკოს ლათინური სახელწოდება უკავშირდება მის ფორმას: ეს სოკო სახატავ ფუნჯს მოგვაგონებს, ხოლო ლათინურად ასეთ ფუნჯს ეწოდება *penicillus (შდრ. ინგლისური Pencil-ფანქარი).*

6. ცხოველი: ***Ursodiol*** – ეს წამალი მოიცავს დათვის ნაღველს (ლათ: *Ursus* – დათვი); *Apisatron* – ფუტკრის შხამისგან დამზადებული მალამო (ლათ: apis – ფუტკარი);ასევე საინტერესოა Viagra-ს დასახელება, რომელიც სანსკრიტიდან მოდის, სადაც სიტყვა *vyaghra* ნიშნავს ვეფხვს. ამ სამედიცინო საშუალების დასახელებაც მეტაფორას ემყარება, რომელშიც მამაკაცის სიძლიერის კონცეპტი ვეფხვის სიძლიერის კონცეპტს უკავშირდება;

7. *ღმერთები და მითები:* მაგალითად, ***Halcion.*** ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთი ჰალკიონი იყო ქარის მბრძანებლის – ეოლუსის ასული. იმისთვის, რომ განსაცდელისგან დაეხსნათ, ღმერთებმა ჰალკიონი ზღვის ფრინველად აქციეს. ჰალკიონი მხოლოდ ზამთარში დებდა კვერცხებს. ამიტომ ზევსმა მას აჩუქა 14 თბილი და უქარიშხლო დღე ზამთრის შუაგულში. ამდენად, სიტყვა *halcyon* გულისხმობს სიმშვიდის პერიოდს, ხოლო წამალი *Halcion* შფოთვის საწინააღმდეგო საშუალებაა.

გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილი ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერება „მორფინი“ უკავშირდება სიზმრების ბერძნულ ღმერთს – მორფეუსს.

„არტემისინი“, მალარიის საწინააღმდეგო საშუალება, მზადდება მცენარისგან *Artemisia annua, რომლის სახელიც არტემიდას უკავშირდება.* საგულისხმოა, რომ თვით ქალღმერთი არტემიდას სახელი ბერძნულად ნიშნავს „დაავადების მკურნალს“. კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია „ატროპინი“, რომელიც მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *atropos. ეს სიტყვა აღნიშნავს „მოქნილს“ და, ამასთანავე, ბედისწერის ბერძნული ღმერთის* სახელია.[1]

8. *გამომგონებელი:* მრავალი სამკურნალო საშუალება თავის დასახელებაში მოიცავს მისი შემქმნელის სახელს. ასეთებია: *ვიშნევსკის მალამო, ზელენინის წვეთები, კასტელანის საღებავი, ლომიძის ბალზამი, თურმანიძის მალამო, უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო* და სხვა.

9. *გეოგრაფიული ადგილი: Montelukast* – მონრეალში შექმნილი ფარმაცევტული პროდუქტია, ასევე „ნისტატინი“, რომელიც აბრევიატურაა და მისი პირველი ნაწილი აღნიშნავს მისი შექმნის ადგილს – New York State Health Department Laboratory; ასევე წამალი *Rapamune,* მოიცავს ბაქტერიას, რომელიც აღდგომის კუნძულზე აღმოაჩინეს, ამ კუნძულის ადგილობრივი დასახელებაა – რაპა ნუი[2].

---

[1] წყარო: https://www.pharma-iq.com/pre-clinical-discovery-and-development/articles/the-origins-of-5-well-known-drug-names (ნახვა: 6 თებერვალი, 2020)

[2] წყარო: https://www.pharmacytimes.com/contributor/alex-barker-pharmd/2015/12/20-drug-name-origins-that-may-surprise-you (ნახვა: 6 თებერვალი, 2020)

სამკურნალო საშუალებების დასახელებები ასევე შევისწავლე სიტყვის სტრუქტურის მიხედვით. წამლების დასახელებები იშვიათად არის მარტივი სიტყვები. ამდენად, ყურადღებას გავამახვილებ დერივატებზე, შედგენილ სიტყვებსა და აბრევიატურებზე.

წამლების აღმნიშვნელ პრეფიქსულ სიტყვებზე საუბრისას ჯეიმს ჰარბეკი აღნიშნავს რამდენიმე შეზღუდვას:

- მწარმოებელმა არ უნდა გამოიყენოს პრეფიქსი, რომელიც აღნიშნავს სპონსორის სახელს, დოზირებას ან წამლის მოქმედების თუ შენახვის ვადას.
- დაუშვებელია ანატომიური კონოტაციის პრეფიქსების გამოყენება[1].

რამდენადაც წამლები დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოიყენება, ბუნებრივია, რომ დასახელებებში ხშირია პრეფიქსები *anti-* და *contra* -, ხოლო სიტყვის ძირი მოიცავს ვირუსის, ბაქტერიის ან დაავადების სახელს.

ჩებნერი გვთავაზობს წამლების დასახელებებში გამოყენებული ბერძნული პრეფიქსების სიას (Chabner 2017: 1483). ამ სიიდან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს შემოგთავაზებთ მათი მნიშვნელობის განმარტებასთან ერთად:

Ana – „ზედმეტი, ჭარბი“;

Cef- ან *ceph* – ცეფალოსპორინის ჯგუფის ანტიბიოტიკის აღმნიშვნელია;

Pred – აღნიშნავს სტეროიდების ჯგუფის პრეპარატებს.

სუფიქსები უფრო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და, უმეტესწილად, პრეპარატების მთელ კლასს აღნიშნავს. მაგ., ქოლესტერინის დამწევი პრეპარატები მთავრდება სუფიქსით -*vastatin*: atorvastatin, fluvastatin და სხვა. ასევე:

- -*oxetine* ანტიდეპრესანტების კლასია, მაგ., *fluoxetine*;
- -*sartan* წნევის დამწევი პრეპარატების დაბოლოებაა, მაგ., *losartan*;
- -*lukast* ასთმის საწინააღმდეგო პრეპარატების დაბოლოებაა: მაგ., *montelukast;*
- -*azepam* შფოთვის საწინააღმდეგო პრეპარატებში გვხვდება მაგ.,*diazepam;*

[1] წყარო: https://theweek.com/articles/461165/how-prescription-drugs-such-crazy-names (ნახვა: 8 თებერვალი, 2020)

- *-dronate* კალციუმით გამამდიდრებელ პრეპარატებშია: მაგ., *alendronate;*
- *-prazole* კუჭის სიმჟავის შემამცირებელ პრეპარატებში გვხვდება: მაგ., *omeprazole;*
- *-conazole* სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებშია: მაგ., *fluconasole*;
- *-vir* ანტივირუსული საშუალებებს აღნიშნავს: მაგ., *aciklovir.*

უნდა აღინიშნოს, რომ წამლების დასახელებებში გამოყენებული პრეფიქსებისა და სუფიქსების უმრავლესობა თავდაპირველად აღნიშნავდა წამლის შემადგენელ ქიმიურ ნივთიერებას, გამოიყენებოდა სრული ფორმით და თანდათან გადაიქცა აფიქსად.

რაც შეეხება შედგენილ სიტყვებს: წამლის დასახელებები ძირითადად ორი ძირისგან შედგება, მაგრამ შესაძლებელია მეტი ძირისგანაც იყოს შედგენილი. ორძირიანი სიტყვებია:

No-spa (რომელიც ნიშნავს "no spasm" და სპაზმის საწინააღმდეგო საშუალებაა);

Aquamaris (ლათინურად – "ზღვის წყალი");

Bronchoimmunal (ბრონქების იმუნიტეტის გამაძლიერებელი საშუალება).

სამი ძირისგან შემდგარი დასახელებები:

Rimabotulinumtoxin (rima-გახლეჩილი, botulinum – მიცემითი ბრუნვა სიტყვისა Botulinus – ნიადაგში არსებული ბაქტერია, და *toxin* – საწამლავი).

წამლების დასახელებები ხშირად არის სხვადასხვა ტიპის აბრევიატურები. მაგ., შემოკლების ნიმუშია *Ampiox* – ამპიცილინის და ოქსაცილინის კომბინაცია, აკრონიმი *Emla:* -Eutectic[1] Mixture of Local Anesthetics; ინიციალიზმი *ACC* (ხველისა და ფილტვების ანთების წამალი, შემოკლებულია აცეტილ-ცისტეინისგან).

ამასთანავე, უნდა აღნიშნოს, რომ აბრევიატურები ხშირად დამაბნეველი ან ორაზროვანია, მაგალითად, *MS* აღნიშნავს როგორც მორფინის სულფატს, ასევე მაგნიუმის სულფატს. ამიტომ ორგანიზაციები *Food and Drug Administration* (საკვებისა და წამლების ადმინისტრაცია), *Institute for Safe Medication Practices* (უსაფრთხო მკურნალობის

[1] Eutectic – (ეუტექტური, ანუ ნივთიერებების ფიქსირებული პროპორციით შერევის შედეგად მიღებული) (იხ.https://www.dictionary.com/browse/eutectic, ნახვა: 9 თებერვალი, 2020)

ინსტიტუტი) და სხვანი ექიმებსა და ფარმაცევტებს ურჩევენ, თავი აარიდონ აბრევიატურებს[1].

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ წამლების დასახელებები საკმაო სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ხოლო დასახელების წარმოშობა უკავშირდება წამლის თერაპიულ ეფექტს, ბუნებრივ ან ქიმიურ შემადგენლობასა და სხვა მონაცემებს. წამლის დასახელებები ასევე სტრუქტურულადაც განსხვავებული სიტყვებია და ძირითადად წარმოადგენს დერივატებს და შედგენილ სიტყვებს. ცხადია, მოცემულ ნაშრომში განხილული მაგალითები სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული საშუალებების ძალზე მცირე ნაწილია, მაგრამ, იმედი მაქვს, კვლევაში შეძლებისდაგვარად მაინც გამოიკვეთა წამლების სახელდების ძირითადი ტენდენციები.

ლიტერატურა

Chabner 2017 – Chabner D.A., The Language of Medicine. 11th Edition. Elsevier Inc. ISBN: 978-0-32337081-3.

Collier 2014 – Collier R., The Art and Science of Naming Drugs, Canadian Medical Association Journal, Volume 189, Pages 1503-1533.

ჩიხლაძე 2015 – ნ. ჩიხლაძე, ლათინური, როგორც სამედიცინო ტერმინოლოგიის ენა, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მაცნე, N2 (6). გვ. 180-181.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა „საარი", თბილისი.

Машковский 1977 – M.D. Машковский М., Лекарственные Средства, Изд. *Медицина,* Москва.

[1] წყარო: https://www.drugs.com/article/prescription-abbreviations.html#abbrtable (ნახვა: 8 თებერვალი, 2020)

Irine Demetradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
irinad72@hotmail.com

Keywords: Remedies, Etymology, Semantics, Connotation, Prefix, Suffix

The Names of Pharmaceutical Remedies: Etymology, Semantics and Structure

Summary

It is widely known that pharmaceutical remedies also referred to as drugs, are substances used to prevent or treat diseases. Drugs are obtained from various plants, animals and chemical substances. The paper focuses on the linguistic analysis of the names of drugs, avoiding as much as possible any medical information. Thus, the research embraces the etymology, semantics and word structure of certain drug names. The empirical material consists of the most widespread and well-known names of drugs. The data have been obtained from various internet resources, medical books and personal experiences of being ill.

In the process of research, drug names were analyzed based on the following semantic components: the organ the drug is aimed to cure; the disease, for the treatment of which the drug is used; the chemical substance the drug contains; the plant the drug is made of; the animal from which the medical substance has been obtained; the names taken from ancient myths, the names of Gods or Goddesses used in the names of drugs; the inventor of the pharmaceutical remedy and the place of production.

The names of drugs are also classified based on the word structure. As simple words are extremely rare among the names of drugs, the paper concentrates on derived and compound words as well as abbreviations.